სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 26 დეკემბერი, 2023
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), რაისა ლიპარტელიანი, ია გაბედავა, როინ მიგრიაული, ციცინო ცხვედიანი, თორნიკე ბაქრაძე, ნათია კორკოტაძე, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამარ მაქაძის, თამარ ქურდაძის, მარიტა გოგიბერაშვილის, ირაკლი ფიფიას, გიორგი ხაჩიშვილის, გოგა კუპრაშვილის და შალვა ყიფშიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ მაქაძის, თამარ ქურდაძის, მარიტა გოგიბერაშვილის, ირაკლი ფიფიას, გიორგი ხაჩიშვილის, გოგა კუპრაშვილის და შალვა ყიფშიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

მარინე ქერაშვილის, სულხან ხმალაძის და რამინ ახალაიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარინე ქერაშვილის, სულხან ხმალაძის და რამინ ახალაიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თორნიკე თაბუკაშვილის, ქეთევან გრიგალაშვილის, თამარ წერეთელის (სიით N7872), ირაკლი ჩიტაძის, მარიამ ჯავახიშვილის (სიითი N9900), როზა ასატურიანის, დავით ბასილაიას, ქეთი სალაძის, გიორგი ალფენიძის, ირაკლი ფიფიას, მარიამ ჩარგაზიას, ანა ოდილავაძის, ლაშა ზიბზიბაძის, ნათია ცარციძის, ნათია ზოიძის, თათია ნანობაშვილის, ნათია ქობლიანიძის, სოფიო ბადალაშვილის, თამარ გურეშიძის, გიორგი გონგაძის და გიორგი ხაჩიშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თორნიკე თაბუკაშვილის, ქეთევან გრიგალაშვილის, თამარ წერეთელის (სიით N7872), ირაკლი ჩიტაძის, მარიამ ჯავახიშვილის (სიითი N9900), როზა ასატურიანის, დავით ბასილაიას, ქეთი სალაძის, გიორგი ალფენიძის, ირაკლი ფიფიას, მარიამ

ჩარგაზიას, ანა ოდილავაძის, ლაშა ზიბზიბაძის, ნათია ცარციძის, ნათია ზოიძის, თათია ნანობაშვილის, ნათია ქობლიანიძის, სოფიო ბადალაშვილის, თამარ გურეშიძის, გიორგი გონგაძის და გიორგი ხაჩიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. გვანცა ასპანიძის და ნინო რურუას განცხადებების განხილვა საწევროს გადახდის ვალდებულების გადავადების შესახებ.

წევრები გაეცნენ გვანცა ასპანიძის და ნინო რურუას გადავადების შესახებ განცხადებებს. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 5. ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულების შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინტერესთა გამოხატვის პროცესის შედეგად მიღებული წინადადებების განხილვა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა - სალომე ტყეშელაშვილმა, წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულების მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაცია ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.gba.ge 2023 წლის 15 დეკემბრიდან - 2023 წლის 25 დეკემბრამდე მიმდინარეობდა ინტერესთა გამოხატვის პროცესი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა 1 (ერთი) წინადადება. წინადადება, ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, წარადგინა შპს „გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტმა“, რომლითაც დარგობრივი სპეციალიზაციის კურსები განხორციელდება **მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ადვოკატურის სამართლის ინსტიტუტთან** პარტნიორობით.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ წინადადებასა და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულების შესაბამისად, შპს „გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტს“ (ს/ნ405642489) მიენიჭოს ინსტიტუციური აკრედიტაცია;

(ბ) ეთხოვოს ასოციაციის თავმჯდომარეს, რათა ასოციაციასა და შპს „გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტს“ შორის გაფორმდეს ხელშეკრულება, შპს გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ დარგებში სპეციალიზირებული კურსის/კურსების განხორციელების თაობაზე, ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

(გ) გადაწყვეტილების აღსრულება და მონიტორინგი დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს - სალომე ტყეშელაშვილს.

საკითხი 6. განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2023 წელს განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ საათების შესრულების ანგარიში.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა - სალომე ტყეშელაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, 2023 წელს განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ საათების შესრულების ანგარიში.

იმის გამო, რომ წევრთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო ონლაინ მოდულების გავლა და შესაბამისი კრედიტების დაგროვება, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ 2023 წლის სავალდებულო კრედიტ საათების დაგროვებისგან გათავისუფლდეს ასოციაციის წევრები.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წევრები გათავისუფლდნენ განგრძობადი იურიდიული განათლების 2023 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისაგან.

საკითხი 7. ბადრი მაღრაძის განცხადების განხილვა, სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.

იმის გამო, რომ აღმასრულებელი საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ასოციაციის წევრები გათავისუფლდნენ განგრძობადი იურიდიული განათლების 2023 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისაგან, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა ბადრი მაღრაძის განცხადება მოხსნილიყო დღის წესრიგიდან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ბადრი მაღრაძის განცხადება მოიხსნას დღის წესრიგიდან.

საკითხი 8. ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 2024 წლის სავალდებულო კრედიტების საათების რაოდენობის განსაზღვრა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2023 წლის მსგავსად, მომდევნო წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობად განისაზღვროს - 10 საათი.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის სავალდებულო კრედიტ საათების რაოდენობად განისაზღვროს - 10 კრედიტ-საათი.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ გიორგი ჯოლიას განცხადებას, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად გიორგი ჯოლიას კანდიდატურა.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. ნენე გუგავას კომიტეტში გაწევრიანების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნენე გუგავას განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დაკმაყოფილდეს ნენე გუგავას განცხადება ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ნენე გუგავას კანდიდატურა ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრად; (ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 11. სხვადასხვა.

ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელიც ეხება დანამატის მუხლს.

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებს. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შევიდეს ცვლილება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე